ყოველდღიური — № 7. ნომერი 3 კაპეიკი ხუთშაბათი, 18 მაისი 1906 წ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2 ს.; საღამოს 5 ს.—7 ს.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

ხმა

ყოველდღიური გაზეთი

გაზეთი ღირს:	1 წლით	. .	5 მ. — კ.
„ „	6 თვით	. .	2 მ. 50 კ.
„ „	3 „	. .	1 მ. 50 კ.
„ „	1 თვით	. .	— 50 კ.
ცალკე № „		. . .	— 3 კ.
წლის დამლევამდის		. . .	3 მ. — კ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწ... რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

შინაარსი:

1) როგორია ჩვენი საშუალება ბრძოლისა. 2) ფელეტონი: კომმუნა. 3) ახალი ამბავი. 4) კორრესპონდენცია. 5) რუსეთი. 6) დეპეშები.

როგორია ჩვენი საშუალება ბრძოლისა?

—

ჩვენი შეხედულებიდამ თანამედროვე საზოგადოებაზედ, კაპიტალიზმაზედა, სახელმწიფოზედ, საერთოდ საზოგადოებაზედ და მის ევოლიუციაზედ, ჩვენი მიზნიდამ, ჩვენი იდეალიდამ გამომდინარეობს ლოლიკურად ჩვენი საშუალებანი ბრძოლისა, ჩვენი შეხედულება რევოლიუციაზედ, ჩვენი ტაქტიკა.

ჩვენ სახელმწიფოს უარს-მყოფელნი. ვართ. 1) რადგანაც მას წარსულში საზიზღარი როლი უთამაშნია, ყოფილა მკვლელი მთელი ცივილიზაციათა და ადამიანთა წინსვლისა, ყოფილა კაპიტალიზმის ტახტის დამდგმელი ისტორიულად, 2) რადგანაც იგი თანამედროვე ცხოვრებაში ერთარსება და განუყოფელი ძმაა კაპიტალიზმისა, რომელიც იარაღია იმავე დროს ამ უკანასკნელის საუკუნო ბატონობისათვის და მშრომელთა დამონებისათვის, 3) რადგანაც მომავალ საზოგადოებაში იგი იმავე მონობასა და ბატონობას განამტკიცებს ადამიანთა ერთი კლასისათვის, მეორეს საუბედუროდ, თვით თავისი არსებითა და თავისი აუცილებელი დაწესებულებებით,—კანონმდებლობით, მთავრობით, ჯარით, პოლიციით, სამსჯავროებით, საპყრობილეებითა და სხვ.

ამიტომაც ჩვენი უპირველესი შრომა თანამედროვე საზოგადოებაში უნდა იყოს მუშათა რევოლიუციონური ორგანიზაცია, მათი სრულიად გამოყოფა ბურჟუაზიისაგან და სახელმწიფოსაგან, როგორც იმ კლასისა, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს-რა არც ერთთან და არც მეორესთან, არამედ სრული განშორებული უნდა იყოს მათგან, დამოუკიდებელი და თვით მომქმედი, მატარებელი როგორც თანამედროვე სახელმწიფოსა და ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე ძალისა, ისე მომავალი საზოგადოების შთანაჩენისა.

„მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერ“,—ეს იყო წმინდა დევიზი ინტერნაციონალისა და ეს დევიზი შევინახეთ დღეს ჩვენ, ანარხისტებმა, ყველა ქვეყნებში. სადა-კ არ უღალატეს ინტერნაციონალის დიდ პრინციპებს,—იტალიაში, ისპანიაში, საფრანგეთში და საზოგადოდ ლათინთა ქვეყნებში. სოციალიზმი თვით მწარმოებლებმა უნდა განახორციელონ—დავუმატებთ ჩვენ,—რადგანაც მუშათა განთავისუფლება ნიშნავს სოციალიზმის განხორციელებას. ეს უკანასკნელი კი მოსპობაა კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოისა და დამკვიდრება თავისუფალი კომმუნიზმისა, უსახელმწიფო სოციალიზმისა.

აი რატომ უარ-ვყოფთ ჩვენ პარლამენტარიზმს, როგორც სახელმწიფო საშუალებას: სახელმწიფოსთან ყოველივე კავშირის გაწყვეტა, კანონიერების უარ-ყოფა და პირდაპირი ბრძოლა კაპიტალისტურ და სახელმწიფო დაწესებულებებთან,—აი ჩვენი ტაქტიკა.

ხასიათი თანამედროვე სახელმწიფოსი—ძალ-დამტანებელი დაწესებულებანი არიან: შეიარაღებული ჯარი, პოლიცია და საერთოდ უხეში ძალის ნავარდი დამონებულთა ზურგზედ. ამიტომ შეიარაღება ჩვენ მუშათა ორგანიზაციათა და სამოქალაქო ომი,—აი ერთად ერთი საშუალება მომავალი სოციალური რევოლიუციისა,—როგორც საზოგადოდ ყველა რევოლიუციათა,—რადგანაც რევოლიუციები მშვიდობიანად არ ხდებიან, რადგანაც ეს უკანასკნელნი ყოველთვის ორი ძალის შეტაკებას წარმოადგენენ.

ძალ-დატანებითი სოციალური რევოლიუცია—აი ჩვენი უმთავრესი საშუალება სოციალიზმის განხორციელებისა.

აგრეთვე ყოველ-დღიურ გაუმჯობესებათა მოსაპოვებლად მუდმივი იერიში შეკავშირებულ მუშათა პირდაპირი მოქმედებით, საერთო გაფიცვებით,—აი ჩვენი ყოველ-დღიური საშუალება.

და როდესაც ჩვენი ორგანიზაციები, სახელმწიფოსა და კაპიტალიზმს გარეშე მდგომნი, გაიზრდებიან, ყოველ-დღიურ ბრძოლითა, პირდაპირი მოქმედებითა და საერთო გაფიცვებით სახელმწიფოსა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გამოიბრძენ-

ფელეტონი

—

კომმუნა.

როდესაც ვამბოთ, რომ სოციალურ რევოლიუციას საფუძვლად დაედება და მოჰყვება თან თავისუფალ კომმუნათა დაარსება, ჩვენ გვიკიჟინებენ, რომ ამით ჩვენ ვუბრუნდებით უკვე დაძველებულს, უხსოვარ დროის საზოგადო ცხოვრების ფორმას. მაშინ როდესაც, მხოლოდ სრულიად დამოუკიდებელს და განთავისუფლებულს სახელმწიფოს მზრუნველობისაგან (опека) კომმუნას შეუძლიან მოამზადოს რევოლიუციისათვის აუცილებელი ნიადაგი და მოგვცეს საშუალება მის განსახორციელებლად.

„მაგრამ კომმუნა“ გვეუბნებიან ჩვენ „ხომ დაძველებულია“, უვარგისი ორგანიზაცია“.

სახელმწიფოთა აღმოფხვრით და მის ნანგრევებზედ თავისუფალ კომმუნათა დამყარებით, თქვენ ისწრაფვით წარსულისაკენ, საიმედო თვალით შესცქერით მას, თქვენ გსურთ გადაგვასახლოთ საშუალო საუკუნოებში, როდესაც თემებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთმანეთს შორის ლევდენ სულს, გსურთ დაგვირღვიოთ ეროვნული ერთობა, ერთობა, რომელიც ზავია მხოლოდ მრავალ საუკუნეთა სასტიკ ბრძოლის შემდეგ!

გავარჩიოთ, ჩავუკვირდეთ ამ კიჟინს. დავიწყოთ იქიდამ, რომ მომავალი კომმუნა არ შეიძლება იყვეს მათ, რათაც იყო იგი საშუალო საუკუნოებში, არ შეიძლება ჩადგეს 700 წლის წინეთ შემუშავებულ ყალიბში. ჩვენს, რკინის გზათა და ტელეგრაფთა საუკუნეში, კოსმოპოლიტიკურ და გამოკვლეულ მეცნიერებათა სიმართლის საუკუნეში, აუცილებლად უნდა მიიღოს ახალი ფორმა. სულ სხვანაირი, ჩაყენებული სულ სხვა პირობებში, ორგანიზაცია მიგვიყვანს ახალს შედეგებთან.

ჩვენს, სახელმწიფოს მომხრეთ, მოწინააღმდეგეთ ავიწყდებათ, რომ ჩვენც შეგვიძლიან პასუხის მიცემა.

სახელმწიფო იგივე დაძველებული ფორმაა, რაც კომმუნა. მაგრამ სახელმწიფო-უარყოფაა თავისუფლებისა, აბსოლიუტიზმი, საზიზღარი თვითნებობა, ქვეშევრდომთა გაყვლეფ-გაძარცვა, სისხლით დასჯა და წვალება, შავი ფურცელი მის წარსულში მაშინ, როდესაც ცხოვრება თავისუფალ კომმუნათა და აღდგომა ჩაგრულთა, კაცთა შორის არა კაცათ მიჩნეულთა, მჩაგვრელთა, მყვლეფელთა წინააღმდეგ შეადგენენ უმშვენიერეს, მოშუქებულს ფურცლებს მსოფლიოს ისტორიისას. როდესაც ვუბრუნდებით წარსულს, ჩვენ გვაგონდება არა ლიუდოვიკ XI, ლიუდოვიკ XV, ეკატერინე II და ყველა ძმათა მისთა საუკუნენი თავის მქენჯნავი სახელმწიფო მანქანით, არამედ დრო თავისუფალ კომმუნათა, თავისუფალ ფლორენციის, ტულუზის და ლანის რესპუბლიკებისა, დრო აუგბურგის და ნიურნბერგისა, პსკოვისა და ნოვ-გოროდისა.

საქმე, ლითონიან, ცარიელ სიტყათა ჰაერში რახა-რუხი არ არის: საჭიროა შეისწავლოს თანამედროვე საქმეთა მდგომარეობა, პირნათლად გაითვალისწინოს, რას მოგვიტანს მომავალი კომმუნა. მათ-კი, ვინც ჩაქვცივებიან; „კომმუნა—ეს საშუალო საუკუნეთა საქმეა, ჩვენ არც კი უნდა ვფიქრობდეთ მის აღორძინებაზედ“, ჩვენ ვუპასუხეფთ: „სახელმწიფო—ეს დაუსრულებელი, გაუთავებელი დევნის და უბედურების, ცარცვა და გლეჯის საუკუნენია და მას ვუკითხავთ სიკვდილის განაჩენს!“

საშუალო საუკუნეთა კომმუნის და იმ კომმუნის შორის, რომელიც დამყარდება ახლო მომავალში არის დიდი განსხვავება: მათ შუა ჩამტვრეულია ხიდი, არსებობს უძირო უფსკრული, გათხრილი შვიდის საუკუნის კაცობრიობის ევოლიუციის ბარით. გავჩხრიკოთ ეს განსხვავება, ჩავიხედოთ ამ უფსკრულში.

რაგვარია დედა აზრი მეთორმეტე საუკუნეში ქალაქთა შორის შეკრულ „კავშირისა“?—აზრი ვიწრო და აშკარა. განთავისუფლება ფეოდალურ ბატონთა ბორკილთაგან—აი მისი მიზანი. ყველა მცხოვრები ქალაქისა, ვაჭარი თუ ხელოსანი, ერთდება და იფიცავს, „არ მისცენ არავის, ნება მოეპყრონ მათ როგორც მონებს, და დაიცვან ერთმანეთი ძლიერთ უსამართლობისაგან“. ისინი ერთდებიან თემებათ და იარაღით ხელში მიდიან ბატონთა წინააღმდეგ.

„კომმუნა“,—ამბობს ერთი მეთორმეტე საუკუნის ისტორიკოსთაგანი, რომელსაც ხატავს ოგიუსტენ ტიერრი,—„ახალი, აღმაშფოთებე-

დებიან ბრძოლაში, როდესაც სამყოფ ძალას იგრძნობენ დიდი სოციალური რევოლიუციის მოსახდენად—გონებით, იარაღითა და რიცხვით,—მაშინ დაიწყება დიდი საერთო გაფიცვა,—დასაწყისი დიდი სოციალური რევოლიუციისა, რომელიც ვინ იცის რამდენ ხანს გასტანს.

მანამდის კი ყოველდღიური ბრძოლა პირდაპირ მოქმედებით, საერთო გაფიცვა და მუდმივი ორგანიზაცია დამოუკიდებელ მწარმოებელთა, ცალკე, გარეშე სახელმწიფოსა,—აი ჩვენი საშუალება ბრძოლისა.

სულეიმან-ეფენდი.

ახალი ამბები

16 მაისს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორათ ნამყოფი ბ-ნი ალიხანოვი რკინის გზის სადგურისაკენ მონავალა თავისი თანმხლებელი ყაზახებით. ამ დროს ვიღაც უცნობებს რამდენიმე ეუშაარა ესროთ, დაუშრიათ სასიკვდილოთ თანმხლებელნი, თვით ბ-ნი ალიხანოვიც დაჭრილა.

17 მაისს დილით დაჭრილი ალიხანოვი თბილისში ჩამოვიდა ყაზახთა, დრაგუნთა და პოლიციელთა თანხლებით გენერალი თავის სახლში მიიყვანეს, ამბობენ გენერალი მძიმეთ არის დაჭრილიო. დაწვრილებითი ცნობები შემდეგს ნომერში გვექნება.

— როგორც გვატყობინებენ ქუთაისიდან: 50 ფეხის ნაბიჯზე ვაგზალიდან ცეცხლი უკიდია დეისაძის სახლს, რომელსაც ჯერ თოფები დაუშინეს და შემდეგ ცეცხლი წუკიდეს, რა-გორც ამბობენ ცეცხლი ქალაქისკენ მიიწევსო აგრეთვე ამბობენ, რომ ყაზახ-რუსები ძრიელ გაბრაზებული არიანო და ამის ... ფერი განზრახვები აქვთ.

P. s. როგორც ექიმები ამბობენ ალიხანოვის ჭრილობა ძლიერ მძიმეა.

— 16 მაისს საგუბერნიო საარჩევნო კომისიას სხდომა ჰქონდათ თბილ. არჩევნების განსახილველად. კომისიამ არჩევნები კანონიერათ იცნო და შეიტანეს არჩევნებისა უკასაციოდ.

— 16 ღამეს ირაკლის ქუჩაზე გეურქ ოსიფოვის დუქანში მისულან ქურდები- გაუღიათ მიმდგარი გასაღებით კარები წაუღიათ 60 მან. და წასულან. გამოძიება სწარმოებს.

— როგორც ირკვევა 15 მაისს პეტროვსკი ქუჩაზე ვასილ და კონსტანტინე გაიდუკოვების მკვლელობის მიზეზი შურის ძიება ყოფილა ამას წინათ ვერაზე ბომბების აღმოჩენაში პოლიციის დახმარებისათვის.

— 13 მაისს დიდუბის ეკკლესიის ეზოში მღვდ. თალაკვაძესთან შესულან ეკვსი კაცი გასაკარკავთ, მაგრამ დროით შეუმჩნევიათ და დასდევნებიან, თავდამსმელებს რევოლვერის სროლით უშველიათ თავისათვის.

— 15 მაისს ანდრეევის ქუჩაზე ჭრელაშვილის ტყის საწყობის მახლობლათ ვაპარი ალიევ-გუსეინ ყული ბაგიროვის ნოქარს თავდასხმიან შეიარაღებული კაცები. წაუართმევიათ 3,200 მანეთი და მიმალულან.

17 მაისს სასამართლო პალატაში გაირჩევა საქმე პოლიტიკურ დამნაშავეთ: მარია მაქს. მდინარაძისა, პავლე ივან. ანურისა, ალექსი პეტრ. ზაკმოლდინისა და ნიკოლოოზ ივანეს ე ბერიძისა. ამათ ბრალი ედებათ ... ავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღება და დღევანდელის წესწყობილების მოსპობის მისწრაფებაზე.

— 16 მაისს, რკინის გზის სამართველოს წინ (ვოგზლის ქუჩაზე) სასიკვდილოთ დასჭრეს ყვირილის დეპოს უფროსი ტაუბლევი. დამნაშავე მიიმალა.

— როგორც შევიტყეთ ქართული ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ წარმოდგენილი იქნება ამ თვის ბოლო რიცხვებში.

— გადაითარგმნა და გამოვა „მეამბოხეს სიტყვები (Рѣчь бунтовщика) პ. კროპოტკინისა.

— დავიდოვის ქუჩაზე, იქ სადაც ამას წინათ პოლიცმეისტერმა, ბომბის მსროლელი მოჭკლა, მთავრობამ ყაზახები დააყენა.

17 მაისს გამოვიდა რუსული გაზეთი „ოგნი“ ბ. ნასიძის რედაქტორობით.

— მაისს თბილისიდან არხანგელსკის გუბერნიაში გაგზავნეს 50 პოლიტიკური დამნაშვე. რკინის გზის სადგურზე, გარდა ნათესავთა და ნაცნობთა, მრავალი ხალხი იყო მათ გასაცილებლათ.

— 15 მაისს დაასაფლავეს ენფიანჯიანცის ფაბრიკაში მომუშავე ქალი სოფიო კამაროვისა. მიცვალებულს დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა სიმღერით, პატრულებმა ხალხი გააჩერეს ალყა შემოარტყეს და გაჩხრიკეს. დაატყვევეს რამდენი კაცი, რომელთა შორის მიცვალებულის ქმარიც დიმიტრი კამაროვიც მოჰყვა, დაპერის მიზეზი, ალბათ, სიმღერა იყო.

— ქუთაისიდან შემდეგს გვატყობინებენ.

17 აპრილს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ა. ბაკალოს განკარგულებით დაითხოვეს შვიდი მწერალი—ყველა ქართველები და შვიდი მოსამსახურე—5 ქართველი და ორი პოლონელი ეითომ და წლის დამლევამდის ჯამაგირები არ იკმარებსო და ამისთვის მსახურთა რიცხვი უნდა შემცირდესო. სარჩული კი სულ სხვა. გვიან თუ ადრე იქ მოსამსახურეებმაც გაიგეს, როგორც თავის ისე ხალხის გაჭირვება, ცოტათ თუ ბევრად თანაუგრძნობდნენ განმანთავისუფლებელ მოძრაობას და მოთხოვნილებები წარუდგინეს. მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა და გაიფიცნენ, რომელმაც 7 დღე გასტანა- და ყოველგვარი მუშაობა შეწყვიტეს სასამართლოში. ეხლა კი ელაპარაკებიან მათო, ,,წადით სასამართლოს ფული არა აქვსო, ოთხ თვეს თქვენ მტანჯეთ ეხლა თქვენი ტანჯვის დრო დამიდგაო“. 24 აპრილს კიდევ დაითხოვეს ერთი მბეჭდავი ქალი, რომელიც ღებულებდა 25 მან. და ამით ისტუმრებდა სახლის ქირას, იკვებებოდა თვითონ და მისი პატარა ქალიშვილი გიმნაზიის მოსწავლე. ახლა ესენი ულუკმაპუროდ დარჩნენ. რომ მსახურთ

ლა სიტყვაა, და აი რას ნიშნავს. მოღალეებმა უნდა იხადონ ფული ბატონის სასარგებლოთ წელიწადში ერთხელ, ყოველ საქციელისათვის ედებათ კანონით დადებული სასჯელი; რაც შეეხება ყმათა გადასახადებს, ისინი სრულიათ თავისუფალნი არიან ამ უკანასკნელისაგან.

კომმუნა საშუალო საუკუნეთა ამხედრებული იყო ,,სენიორთა'' წინააღმდეგ; კომმუნა დღევანდელი ამხედრება წინააღმდეგ სახელმწიფოსი ამაშია არსებითი განსხვავება: სახელმწიფო, ხელმწიფით სათავეში, რა შეატყობდა რომ კომმუნა მიისწრაფვოდა განთავისუფლებისაკენ, გზავნიდა ჯარებს ,,დასასჯელად'' როგორც მოწმობს მატიანე'' ყველა თამამთა, რომელნიც კომმუნის განსახორციელებლად, აღსდგებოდენ გვირგვინის წინააღმდეგ''.

კომმუნას ,,მომავლისას'' არა სწამს არავითარი სახემწიფო, არავითარი მისი უფლება—მოადგილენი; ის შეუერთდება თავისუფალ სურვილით სხვა თემებს და იფიქრებს მხოლოდ ფედერაციის ინტერესებზედ.

მან კარგად იცის, რომ შუა გზაზედ შეჩერება შეუძლებელია: ან შეიქმნება სრულ დამოუკიდებელად, სრულიად თავისუფლად, ან დარჩება მათ, რათაც იყო დღემდის, სახემწიფოს ნაწილად, მაგრამ სულ მუდამ, ყოველ წამს მზად იქმნება შეებრძოლოს, ბეგებას სასტიკ ბრძოლაში სახემწიფოსთან; თუნდ, მცირეოდენი იმედიც არ ჰქონდეს გამარჯვებისა.

კომმუნამ იცის, მას წარმოდგენილი აქვს, რომ უნდა მოისპოს სახემწიფო, შეიცვალოს იგი ფედერაციით; აი ამ აზრით იმოქმედებს იგი. იდეალის მისახწევად მას შესწვდება ძალა. დღეს არა თუ წვრილი ქალაქები, არამედ პარიზიც, ლიონი, მარსელი, მედგრათ აფრიალებენ აჯანყების დროს; ახლო მომავალში მათ მხარს დაუჭერენ ყველა სხვილი ქალაქები. ამ მოძრაობას არ ექნება არავითარი მზგავსება იმასთან რაც ხდებოდა საშუალო საუკუნეებში.

ფეოდალურ ბატონთა ბორეილთაგან განთავისუფლება ანთავისუფლებდა თუ არა საშუალო საუკუნეთა კომმუნას ბურჟუაზიის უღლისაგან, რომემაც ვაპრობის საშვალებით გაამრავლა კაპიტალი, სიმდიდრე და მოიპოვა კერძო საკუთრებთა დიდრონი, თვალუწვდენელი უძრავი ქონება ქალაქთა შუაგულში? სრულიათ არა! „სენიორთა“ ციხე სიმაგრის დანგრევის დროს, მოქალაქენი ხედავდენ, აჩნევდენ ამავე დროს, როგორ იზრდებოდენ მშვენიერი სასახლენი მდიდარ ვაჭართა; ხედავდნენ, თუ ეს უკანასკნელნი, როგორ სცდილობდენ თავიანთ კაპიტალის საშვალებით მონის უღელი დაედგათ მათთვის.

ისტორია საშუალო საუკუნეთა კომმუნის შიგნეულ ცხოვრებისა არის ისტორია ბრძოლისა ღარიბთ და მდიდართ შორის, ბრძოლისა, რომელიც იძულებულ ხდიდა მეფეთა და ხელმწიფეთა ჩარევოდენ მასში. ხალხმა რა დაინახა თუ, როგორ იზრდება დღითი დღე არისტოკრატია, თუ როგორ იმორჩილებს იგი კომმუნის ყოველ ცხოვრების მოვლენას, განთავისუფლებულმა უწინდელ ბატონთა უღლისაგან, შეიგნო რომ კომმუნის მოლოდინში იგი ვერაფერს მიაღწევდა. დასტოვა ციხე-სიმაგრენი, თხრილ-კოშკები, აღმართული მისგნით თავისუფლების მოსაპოებლად და ეხლა გარდაქმნილნი, ინდვიდიალისტურ რეჟიმის მეოხებით, გზათ, იარაღად ახალ მონობისა. ხალხი, რადგან არაფერი გაჩნდა დასაკარგი, უშვებს მდიდართა ანაბრად წინანდელ ძვირფასს განძს. მდიდარნი დამარცხდენ. განებივრებულნი სიმდიდრით, გაუძლურებულნი გახარწილებით ხალხთა მოუბშარებლად, იძულებულნი იყვნენ დასთანხმებოდნენ მეფის „გეროლდების“ მოთხოვნილებას და გადაეცათ მათთვის ქალაქთა გასაღებები. ზოგიერთ კომმუნებში კი. მდიდრებმა თვითონ გაუღეს ქალაქთა კარები მეფის ჯარებს, რომ გადარჩენოდენ ხალხისაგან მოსალოდნელ შურისძიებას, რომელიც შიშის ზარივით დაატყდებოდათ თავს.

კომმუნა „მომავლისა“ დაიხატავს მიზნათ სოციალურ უთანასწოროობის მოსპობას. ის მოიპოვებს მსოფლიო კაპიტალს და გადასცემს მათ, რომელნიც იშრომებენ მთელის საზოგადოების კეთილ-დღეობაზე. ის შეეცდება დათრგუნოს ძალა კაპიტალისა და შესწყვიტოს აღმოცენა არისტოკრატიისა, რომელიც იყო მიზეზი საშუალო საუკუნის კომმუნათა დაღუპვისა. შეუმხანაგდება, აიყვანს მოკავშირეთ მოძღვარს თუ ხუცესს, მღვდელს თუ ბერს? მიბაძავს წინაპრებს, რომელთაც კომმუ-

შემცირებას და ფულის უყოფნობა არ იყო მიზეზი დათხოვნისა, ეს იქიდან სჩანს, რომ დათხოვნილების ადგილზე მიიღო ბ. ბაკალომ ზოგი ჟანდარმათ ნამყოფი და ზოგი „ნასტრაჟნიკალი“, ქართველ მოსამსახურეთა მაგივრად ყველა რუსები მიიღო· თავჯდომარე ბ. ბაკალო უძახის ყველა ამის უფულობას შემცირებას მოსამსახურეთა რიცხვისა (შტატის).

ბ. ბაკალო, როგორც მის სიტყვიდან სჩანს ისე გამხნევებულა, რომ კიდევ აპირებს დათხოვნას და ჯამაგირების შემცირებას. ბ. ბაკალო იმათ მდგომარეობაში არ შედის, რადგან თვითონ თავი დაკმაყოფილებული აქვს და სხვას რას დაეძებს ოღონდ კი იმუშაონ.

კორესპონდენცია

—

(ენას ძვალი არა აქვს)

ქუთაისიდან. ქ. ქ. თბილისში და ქუთაისში დროებით გამარჯვებამ არჩევნებში ჩვენებურ ს.-დემოკრატებს სულ ფრთები შეასხა და სიხარულით ცას ეწევიან. ვნახოთ სანამდის გასტანს მათი გამარჯვება და სიხარული! ჯერ არის და საიმისო გასახარებელი არაფერი აქვთ, რადგანაც, არჩევნები ჯერ არ დასრულებულა ქუთაისის გუბერნიაში და ვინ მოხვდება სათათბიროს წევრად—ეს კიდევ მომავლის საკითხია, თუმცა ჩვენ ეს ნაკლებად გვაინტერესებს ვინა მოხვდება სათათბიროში, თუ პეტრე, და სანამ ჩვენი, რუსის კანონივით დიდებული, „სოციალისტი“ სოც.-დემოკრატები პეტერბურგამდის მიაღწევდნენ, მანამ თხუთმეტჯერ გამოაბუზურებინ... ჰკვე იქ მყოფ სათათბიროს წევ...

ნეტავ ვიცოდეთ: სად მიდიან, რას აკეთებენ, ან რაში აყრევინებენ, დაბეჩავებულ მშრომელ ხალხის კისრიდან ანაგლეჯ ფულებს?! სოც.-დემოკრატები ჩვეულებრივად გვიპასუხებენ: სათათბირო და საზოგადოთ არჩევნები პირველი სააგიტაციო საშუალება არისო. მაგრამ ჩვენ ჯერეთ აქაურ არჩევნებზე არავითარი ხალხის ჭკუის მასწავლებელი და განმავითარებელი აგიტაცია მათის მხრით არ გვინახავს, გარდა იმისა, რომ რყვნიდნენ და ათახსირებდნენ მშრომელ ხალხს თავიანთი ძალ-დატანებებით, „პადლოგებით“, ბიულეტენების ხელიდან გამოგლეჯით და სხვა ამგვარებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ საარჩევნო დარბაზის წინ 9 მაისს მომხდარი ინციდენტი, როცა ესერებმა წითელი დროშა ამართეს და სარევოლიუციო სიმღერები დაიწყეს, როგორ გგონიათ თქვენ, რა ქმნეს სოც.-დემოკრატებმა? ნაცვლად იმისა, რომ ამ დროშას გაჰყოლოდნენ, ეცნენ სერებს, წართმევა მოუნდომეს დროშის, ერთი ესერი დანით ფეხში დასჭრეს და მეორეც პოლიციას ჩაუგდეს ხელში. ეს წითელი დროშა, ეს წმიდათა-წმინდა რევოლიუციონურ სოციალისტებისა დაჰხიეს ჩვენებურ სოციალისტად წოდებულ დემოკრატებმა, რომლებიც სათათბიროს საშუალებით მოელიან ხსნას და შვებას. კარგი მაგალითი არ უჩვენეს ხალხს და კარგი აგიტაცია არ გასწიეს! ამფერუმ, მათს ბიჭობას და მათ სოციალისტობას! და ახლა გამოდიან ეს ვაჟბატონები თავიანთ უგაზეთობის გაზეთების ფურცლებზე და ან ამ ინციდენტს გვერდს უვლიან, ან და უსირცხვილოდ თავს იმართლებენ. მაგრამ მოგეხსენებათ ენას ძვალი არა აქვს, ხოლო სოც.-დემოკრატების ენა კი გველივით უფრო ადვილი მოსადრეკი.

დროა, ბ. ბ. სოც.-დემოკრატებო, რომ კარგი სოროები გამონახოთ და თავი შეიფაროთ, რადგან დიდებული რუსეთის რევოლიუცია თქვენისთანა „სოცალისტები“ გასაფუჭებელი არ არის! დროა თავი დაანებოთ მშრომელი ხალხის შექცევას, თორემ მომავალი კაცობრიობის ისტორია მოგთხოვთ ამაზე პასუხს!...

ქ. ქუთაისი. ერთი თვის, წინედ ერთი ჯარის კაცი ავათმყოფობის მიზეზით სამსახურიდან გაანთავისუფლეს და სამშობლოში წასასვლელად მატარებლის მოლოდინში ქუთაისის სადგურზე ყურყუტებდა. მას აქ სადგურზე გამოეცნაურა ერთი რუსის გლეხი მ., მოვიდნენ ორი სხვა ჯარის კაცნით და დაიწყეს საუბარი რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაზე. ავათმყოფობის მიზეზით განთავისუფლებული სალდათი მ. აღელვებული იყო კავკასიელების ბუნტოვჩიკობაზე და სხვათა შორის თქვა: „თვით ხელმწიფემ ბრძანა ქუთაისის გუბერნიის აოხრება-განადგურება, რადგან აქაურები „ბუნტობენო“. გაიგონა თუ არა ეს რუსის გლეხმა ერთი კარგად შეუკურთხა მეფეს. იქ მყოფ ჯარის-კაცებმა ეს მაშინათვე გააგებინეს ჟანდარმს, ჟანდარმა ჟანდარმის პოლკოვნიკ გამკრელიძეს და შეიქმნა ერთი გამოძიება. საწყალ გლეხს ვირის აბანოში უკრეს თავი და შემდეგ როგორც იყო პოლიციის მხედველობის ქვეშ გამოუშვეს, და ეხლაც პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფება. ამ საქმეს ახლო მომავალში სასამართლო გაარჩევს და ვნახოთ რას გადასწყვეტენ.

სან—რე.

—

13 მაისს, ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ოზურგეთის მაზრის მცხოვრების გლეხის ილიკო კონტრიკაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ის, რომ 1 იანვარს 1905 წ. დ. სამტრედიაში, როცა დეკანოზი ე. კანდელაკი სწირავდა ეკკლესიაში, შევარდა იგი ჲ მუქარით აიძულა მღვდელი წირვა შეეწყვიტა მას. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო კონტრიკაძე, პირადი ღირსება ახადა და ორი წლითა და ნახევარით სატუსაღო განყოფილებებში (арестантскія отдѣленія) დამწყვდევა მისაჯა.

—

სოფ. თორტიზიდან (გორის მაზრა) იტყობინებიან, რომ იქ ვილაცა ვიგინდარებს სოციალ - დემოკრატთა ორგანიზაციის სახელით, გაუწერიათ ამ სოფელზედ (სადაც 40 მეკომურია) 17 თუმანი. რის სასარგებლოთ, ღმერთმა უწყის. რაც გადარჩა ყაზახებს, ალბათ მის შესრულებას ,,სოციალისტნი‘‘ კისრულობენ. ,,უბედუჟს კაცს ქვა აღმართში დაეწევაო‘‘ სწორედ ჩვენზედაა ნათქვამი.

ნის დაარსებით, დაარსეს სახელმწიფო სახელმწიფოში, მეფის მოსპობით, არ მოსპეს მისი უფლება კომმუნაში, დაივიწყეს, რომ ქალაქის კედლები ვერ დაიფარავენ ამ „უფლებას“ მასთან შეზრდილ სისაზიზღრისაგან? მიბაძავს ჩვენი დროის პროლეტარი ფლორენციიელებს, რომელნიც ერთის წოდების აღმოფხვრით არ ეწინააღმდეგებოდენ მეორე წოდების ახალ არისტოკრატიის შეკავშირებას? მოინდომებენ, მოისურვებენ ისინი, წინაპართა მიბაძვით, შექმნან ის იერარხია უფლებისა, რომელიც ბოლოთ ჩამოაგდეს, მოიშორეს მათ? შესცვლიან ისინი „დაწესებულების“ ხელ-შეუხებლად ერთს ხალხს მეორეთი?

რასაკვირველია, არა! კომმუნა მომავლისა არ გაიმეორებს ძველ შეცდომებს. ის შეიქმნება არა მარტო კომმუნალისტური, არამედ კომმუნისტურიც. ის შეიტანს სრულს შეცვლას არა თუ მარტო პოლიტიკაში, არამედ თვით სამრეწველო ჲ სავაჭრო კითხვებშიაც. კომმუნა მომავლისა არ დაანგრევს სახემწიფოს მარტო იმისათვის, რომ მეორე დღესვე მის ნანგრევებზედ დაამყაროს რაიმე მინაგვარი სახემწიფოსი; ის მოუღებს ბოლოს ამომრჩეველ მთავრობას არა იმიტომ, რომ მოახდინოს ახალი არჩევნები.

ბატონთა მძიმე უღლის ჩამოგდებით, შეეცადა თუ არა საშუალო საუკუნეთა კომმუნა, ძირიანათ მოესპო იგი? უშველა, რითიმე შეუმსუბუქა აუტანელი მდგომარეობა თავის თანასოფლელთა, გადასცა მას იარაღი თუ არა, დაიხსნა თუ არა უბედურნი, რომელთაც ისე თამამათ დაჰყურებდა თავის კედლების სიმაღლიდამ?—სრულიათ არა! წმიდა ეგოისტურ გრძნობით გატაცებული, საშუალო-კომმუნა ჩაიკეტა თავის ციხე-სიმაგრეებში. რამდენჯერ მას აუკრეფია კიბე-ხიდები, რამდენჯერ ჩაუკეტია კარი თავშესაფარად მოსულ ყმათათვის; დანაშაულის, შემაწრწუნებელის გულცივობით უმზერდა იგი მათ გაწყვეტა-გაჟლეტას. თამამი, მოამაყე თავის თავისუფლებით არა სცდილობდა იგი გაევრცელებინა ყმობის მძიმე უღელ-ქვეშ სული მობრძავებზედ. და ამ ყმობის ფასით ერთსა ჲ ორს კომმუნას არ მიუღია თავისი დამოუკიდებლობა. მართალიც არის, მდიდარ ბურჟუათათვის უფრო ხელსაყარი იყო, რომ მაშვრალი სულ მუდამ მიწაში ყოფილიყვნენ ჩაბლევერილნი, არ სცოდნიათ წარმოება, ვაჭრობა, იძულებულნი ყოფილიყვნენ განუწყვეტლივ ქალაქთან ქონოდათ საქმე რკინისა და სხვა იარაღისათვის. ხანდახან თუ ხოლოდ ხელოსნები გაუწვდიდენ ხელს ყმებს, მაგრამ მაშინაც ვერაფერ ძალას წარმოადგენდენ ბურჟუაზიათა წინ, რომელთ ხელს იყო უფლება, ბატონ-პატრონობა იარაღისა და ჯარისა.

დღეს საქმე სულ სხვანაირად მიმდინარეობს. პარიზის კომმუნა არ დაკმაყოფილდებოდა თავის გამარჯვებით, მარტო თავისუფალ დაწესებულების მოპოებით თავისთვის. პარიზის პროლეტარიატს რომ დაემტვრია მონობის ჯაჭვები, მისცემდა ნიშანს სოციალურ რევოლიუციისას, რომელიც პარიზიდამ ცეცხლის ალივით მოედებოდა ახლო მახლო სოფლების თემებს. პარიზის კომმუნა თავის არსებობისათვის სასტიკ ბრძოლაშიაც კი არ დაივიწყებდა სოფლის გლეხს და თამამათ ვეფხვურის გმინვით დაჰყივლ-დასჭექებდა მას: ,,მიიღე მიწა, მთელი მიწა‘‘. ის არ დაკმაყოფილდებოდა მარტო სიტყვით. მისი მამაცი შვილები სიხარულით წავიდოდენ, იარაღით ხელში, შორს სადმე სოფლებში თავის თანამოძმეთა მისაშველებლად რევოლუციის დამთავრებამდე; სიხარულით შეუერთებდენ გმირულად გადმონთხეულ სისხლს; გაპოხიერებდენ მათ მამულს; სიხარულით გამოაძევებდენ სოფლის წურბელებს, სიხარულით მოიპოვებდენ მთელს მიწას და გადასცემდენ მათ, ვინც სამართლიანათ მოიმკიდა მოსავალს. საშუალო საუკუნეთა კომმუნა ილტვოდა თავის კედლებში ჩაკეტვას; მომავლის კომმუნა ილტვის გაფართოვებას, ლამობს გადაიქცეს საქვეყნოთ. მას უარი უთქვამს ყოფილ კომმუნათა ,,პრივილეგიებისაგან‘‘ კაცობრიობის ინტერესების და სოლიდარობის სახელით.

შალიკო ქ—ძე.

(გაგრძელება იქნება).

ცოლ-შვილი და საქონელი შიმში-ლით გვიბლავის; არ ვიცით რა ვქნათ, რითი ვირჩინოთ თავი. ჩვენ ჩვენ პირვარამზედ ვერ გვიფიქ-რნია და ამ როს მუქარა და გადა-სახადები.

რუსეთი.

მოხუცი სუვორინი თავის თავს ნებას აძლევს და გამოცდილი ბე-ბერი მსახურის გულკეთილობით შემდეგს ამბობს მის ალმატებულე-ბაზე ი. ლ. გორემიკინზე:

ი. ლ. გორემიკინი როცა მინის-ტრად იყო გაზეთს არ კითხულობ-და და ან რა მაგის საქმე იყო მაგ ტუტუცურ საქმეს მიყოლოდა; და როცა იგი პირველი მინისტრი გახდა, მას უფრო ბევრი საქმე აქვს და იმიტომ, როგორც წინედ, არ კითხულობს გაზეთებს. მე მგონია, რომ არც სათათბიროს აქცევს რაიმე ყურადღებას. და ესენი თუ დაუწყებენ მის ალმატებულებას ლანძღვას იგი მაგაზე ვერას გაიგებს რადგან გაზეთს არ კითხულობს და მისი მსახურნი კი ვერ გაუბედავენ მოხსენებას ამ უბრალო საქმეზე რომ იგი არ შეაწუხონ.

მაშ თუ გაზეთებს არა კითხუ-ლობს, სათათბიროს ყურადღებას არ აქცევს და საზოგადოების აზრი არაფრად მიჩნია მაშინ ეგ მინის-ტრი კი არა ყოფილა არამედ ფილო-სოფოსი ამბობს გაზეთი "ნაშა ჟიზნი",

—

პეტერბურგის კომიტეტს რ. ს.-დ. მ. პარტიისას გადაუწყვეტია დაწერილებით გააცნოს მუშებს სა-ხელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობა.

—

„ნ. ჟ.“-ს სწერენ სევასტოპო-ლიდან: ამ დღეებში საპყრობილი-დან გაიქცა 33 მატროსი, რომელ-თაც შეიარაღებულ აჯანყებაში მო-ნაწილეობის მიღება ბრალდებათ. იმათგან რამოდენიმეს სიკვდილით დასჯა ელოდა. ეს ხომ პირველი არ არის. ამას წინათაც გაიქცა სა-მი უმთავრესი დამნაშავე. ამის შემდეგ ტუსაღები ლაზარევის ყაზარმებში გადაიყვანეს; ყაზარმებს „ერთგუ-ლი“ ბრესტის პოლკის ორი როტა შემოარტყეს გარშემო. საპყრობილეთ გახადეს ყაზარმის მეოთხე სართუ-ლი. მაგრამ ასეთმა გაფრთხილებამაც ვერაფერი უშველა. უკანასკნელი გაქცევა ისე ოსტატურათ იყო მოწ-ყობილი, რომ ვერავინ ვერ შეამჩ-ნია. მთელი ქალაქი ფეხზე დააყე-ნეს, მაგრამ მაინც ვერავინ დაიჭი-რეს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშების სააგ[illegible]).

—

ოდესა. გაფიცვა ნავთ-სადგურში გრძელდება, უერთდებიან სხვებიც, გემები არ მოქმედებენ.

რიგა, 15 მაისი. დღეს საბარგო მატარებელზე, რომელზედაც მიდიო-და რკინის გზის მეარტელე, შეია-რაღებული თავდასხმა მოჰხდა. გა-დანპოის და ნეგელის სადგურების შუა ლიანდაგი აღებული აღმოჩნდა. აქ თავდამსხმელებმა სროლა აუტე-ხეს. მემანქანემ მატარებელი უკან ნეგელში დააბრუნა. ბოროტ გამზ-რახველები მიიმალნენ.

ვარშავა. სკერნევიცკის ქუჩაზედ მოკლულია კლეტი, ერთის დღის გამოშვებული ციტადელიდან. მისი ამხანაგი დაჭრილია. ლუცკის ქუჩა-ზედ მოკლულია აკალოდოჩნი რად-ლევიჩი.

სალონიკი. ალბანიის მხარეში სისხლის ღვრაა, შეტაკება მოსდით ქრისტიანებს მაჰმადიანებთან.

მოსკოვი. მოსკოვის რკინის გზის მხარეში გაიფიცნენ მუშები, ესენი თხოულობენ ფასის მომატებას და სამუშაო დროს შემცირებას.

სევასტოპოლი. ორის გარდა, რომელთაც ესროლეს ყუმბარა გე-ნერალ ნეპლიუევს, ქალაქში დაა-ტუსაღეს კიდევ ერთი პირი და ვეტცელის სასტუმროში მეორე. სდგება აქტი მათი ჩამოსვლისა პე-ტერბურგიდან და აგრეთვე მებრძოლ რაზმში ყოფნისა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. შეიარაღე-ბულნი დასცემიან ბუგროვის წისქ-ვილის კანტორას გასაცარცვათ. დაჭ-რილია ნოქარი. ფულათ წაღებულია 200 მანეთი.

სევასტოპოლი, 15 მაისი. ოფი-ციალურად შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან გენერალ ნეპლუევის მოკვლის განზრახვაზე. პირადის დროს, მემუსიკეების ჯგუ-ფიდგან გამოვიდა ახალგაზდა მიუ-ახლოვდა გენერალ და ესროლა ყუმ-ბარა, მაგრამ არ გასქდა. პოლიცი-ელმა შეიპყრო იგი. მაშინ მეორე მხრიდგან ტაძრის შემოღობილიდ-გან, ხალხის თავზე ზემოთ გადმოი-სროლეს მეორე ყუმბარა, რომე-ლიც საზარელათ აფეთქდა საზა-რელი სურათი იყო: დაფლეთილი გვამები და ბევრი დაჭრილებისა. აფიცერთაგანნი მარტო სისხლით გა-ისვარნენ. 6 მოკლულით, 14 მძი-მედ დაჭრილით და 40-მდე დაშავე-ბულით ანგარიშობენ. დაჭერილია ოთხი პირი, რომელთაგანნიც ორი ისროდა ყუმბარებს და ორიც ნიშ-ნებს აძლევდნენ. ყველანი პეტერ-ბურგიდან ჩამოსულნი არიან და უარს ამბობენ თავის დასახელებაზე. ერთს უპოვნეს 1000 მანეთი.

ვარშავა, 15 მაისი. საღამოთი დიკოის ქუჩაზე მიმავალი ტრამვაის ვაგონზე შეხტა სამი რევოლვერე-ბროთ შეიარაღებული კაცი, ამოარ-თვეს კონდუქტორს აბგიდან 25 მან. და მიიმალნენ.

ვენა 15 მაისი. გაწრცელდა ხმე-ბი, ვითომ მთელი თავად გოგენ-ლოეს კაბინეთს, გადაყენების სამ-სახურიდან თხოვნა მიციათ.

პეტერბურგი, 16 მაისი. ალადი-ნი წინადადებას იძლევა, რომ სხდომა დაიხუროს გარდაცვალებულ დეპუ-ტატ ანდრიანოვის პატივის საცემლა-დაო. თავჯდომარე კი ამბობს რომ საკმარისია ფეხზე წამოვდგეთო. შემ-დეგ უყარეს კენჭი ალადინს, რომე-ლმაც უმრავლესობა, თითქმის ყველა სათათბიროს წევრები მიიმხრო, მხო-ლოდ კი ერთმა მოსკოველმა დეპუ-ტატმა სალავიოვმა წინააღმდეგობა გაუწია ალადინს,

ვენა, 16 მაისი. „ფრენდენბლატ“-ი იტყობინება, რომ იმპერატორს შე-უწყნარებია გოგენლოს კაბინეთის სამსახურის გადაყენებაზე თხოვნა.

რიგა. 16 მაისი, სამხედრო სასა-მართლოს დადგენილებით დახვრიტეს 8 კაცი, რომლებთაც ბოქაულის თა-ნაშემწის ბორეიცკის და სხვა პო-ლიციელების მოკვლა ბრალდებათ.

პეტერბურგი. პასუხის გებაში არიან მიცემული რედაქტორები შემ-დეგი გაზეთებისა. „სტრანა“-ს, რე-დაქტორები კოვალევსკი და ივანიუ-კოვი, გაზეთ „პრიზივს“ აზნაუროვი, გაზეთ „ვესტნიკა სვაბოდის“—რედაქ-ტორი ვადაოზი 129 მუხლის სხვა და სხვა პუნქტებზე.

სამარა. სამარის მაზრის ტროს-ტიანკის მახლობლათ, თავს დაესხენ შეიარაღებულები ფოსტას. ფოსტა-ლიონი დასჭრეს, მხოლოდ ფოსტის გაცარცვა ვერ მოახერხეს.

ვარშავა. ბოქაულის თანაშემწე კოვალსკი პოლიციელებით მიდიო-და ეტლით ელექტორალნი ქუჩაზე. ორი უცნობი პირი წამოეწივნენ ეტლით და ორჯელ გასროლით ბრა-უნინგიდან მოკლეს კოვალსკი და გოროდოვოი.

ხარკოვი. ქალს ტყვიით სდომია დაეჭრა არხიტექტორი ტროფიმოვი, მაგრამ ტყვია ასცდენია. ბოროტე-ბის ჩადენა როგორც გამოირკვა ყო-ფილა რომანიული.

იაროსლავი. სმოლენსკის ზალა-ში დაუხვრჩიათ ქალი კუზნეცოვისა. და წაურთმევიათ ფულათ 8000 მან.

ლოძი. კრუშენდერის ფაბრიკა-ში მოხდა შეტაკება სოციალისტებს და პოლიციის შორის. არიან დაჭ-რილები.

ეკატერინოსლავი. რკინის გზის სახელოსნოში მოკლულია კანტო-რჩიკი და ორი სტოროჟი, კასსა უვ-ნებლად დარჩა.

დრუსკენიკი. სმოლენსკის გუბერ-ნიაში აგრარული მოძრაობა დარ-ყო სადაც იქნა გაგზავნილი ორი როტა სალდათები და ცხენოსანი სტრაჟნიკები.

კაევი. გაცარცვეს ჩერკასკი სტა-როვეების მონასტერი.

კოვნა. საპოჟნიკი ბოიარსკი იქ-ნა დაგლეჯილი ბომბიდგან, რომე-ლიც მასვე დაუვარდა.

მიტავა. ბოროტ გამზრახველი გრაიკსტე, რომელიც სცდილობდ გაქცევას იქნა მოკლული სტრაჟნი-კისგან.

ბელოსტოკი. ქალაქის მახლობ-ლათ უცნობმა პირებმა გადაისრო-ლეს ბომბა. დაჭრილი არავინ ა-არის.

პეტერბურგი. სასამართლო პ-ლატამ კოროლენკო, სტრუვე და მი-ლიუკოვი. გაამართლა.

პეტერბურგი. პროკურორმა უარი განაცხადეს „თავისუფალ ხალხის“ ყოფილ რედაქტორების მი-ლიუკოვისა და მესსენის ბრალდება-ში მონაწილეობის მიღებაზე; ა-უკანასკნელ ბრალს სდებენ მუშათა მანიფესტის დაბეჭდაში. ბრალდე-ბულნი გაამართლა პალატამ აგრეთ-ვე კოროლენკო და სტრუვე. „რეჩ“-ი იუწყება, რომ კადეტებ შეიტანენ 16 მაისს ინტერპელლა-ციას „მთავრობის უწყებაში“ მო-თრვსებულ ლეაქტიონურ ტელე-გრამების შესახებ.

ვენა. დადის ხმები, ვითომც ხო-ლუხოვსკიმ სამსახურს თავი და-ნება.

პეტერბურგი. იქნა ნათქვამი აგ-რეთვე, რომ მთავრობამ რამე იღო-ნონ და მისცეს დახმარება 24 დამ-შეულ გუბერნიას, რომელთაც საჭ-მელ-სასმელი არ ეშოვებათ. სცდი-ლობენ რამე დახმარება აღმოუჩი-ნოთ.

კრემენჩუგი. მაზრაში დაიწყო აგრარული მოძრაობა.

ეკატერინოსლავი. სეტყვამ გაა-ნადგურა 1800 დესიატინა დათესი-ლი ყანები.

კოვნა. ლიტვის გაზეთებში გა-მოცხადებულია პროექტი ლიტვის ავტონომიისა, რომელიც შედგენი-ლია ლიტვის ავტონომიისა, ძირი-თადი დებულება: რუსეთის განუყო-ფლობა და ფედერატიული წეს-წყო-ბილება ნაციონალური თვითგამორ-კვევის უფლებით.

კიევი. სექტემბრიდან უმაღლეს საქალებო კურსებზე იქნება გახსნი-ლი ფილოლოგიური და ფიზიკო-მატემატიკური ფაკულტეტები.

Кнр № 223

რედაქტორ-გამომცემელი
ვ. ი. შალიკაშვილი.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.